ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

9 ოქტომბერი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 192 (10361) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა მესხმა გრეთჰენ მეიჯერსი შეცვალა

ლეილა მესხი ის აღარაა რაც, ვთქვათ, ერთი წლის წინ იყო. მართალია, ქართველი ჩოგბურთელი მაშინაც საკმაოდ წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო ტურნირებში და ღირსეულ გამარჯვებებსაც აღწევდა, მაგრამ ბოლო სეზონში საკმაოდ ამაღლდა და დაიხვეწა მისი ოსტატობა, რაც ყველაზე მეტად მსოფლიო რეიტინგში აისახა. მესხს, როგორც მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ოცეულის წევრს, ამა თუ იმ ტურნირში ხშირად პირველ ნომრად აყენებენ, რაც მის საერთაშორისო ავტორიტეტზე მიგვანიშნებს.

ასე იყო ამჯერადაც, მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე — „კრაფტ ჯენერალ ფუდზე“, სადაც ქართველი ჩოგბურთელი პირველ ნომრად იყო განთესილი. მესხმა წარმატებით ჩაატარა ეს ტურნირი და ყველა მეტოქეს დიდი უპირატესობით აჯობა. ფინალში, მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში, მისი მეტოქე იყო ოდესელი ელენა ბრიუხოვეცი. ლეილამ ეს შეხვედრაც ჩვეული ოსტატობით წარმართა და ისე დამაჯერებლად დაამარცხა მოწინააღმდეგე, რომ, ფაქტობრივად, არავითარი შანსი არ დაუტოვა მას — 6:4, 6:4. მესხი გახდა „კრაფტ ჯენერალ ფუდსის“ ჩემპიონი. შეგახსენებთ, რომ შარშან ეს ტურნირი ამერიკელმა გრეთჰენ მეიჯერსმა მოიგო.

გრეთჰენი წლეულსაც გამარჯვებულთა შორის იყო, მაგრამ ამჯერად მან თავის თანამემამულე რობინ უაიტთან ერთად წყვილთა ასპარეზობა მოიგო. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მათ საბჭოთა დუეტი, ელენა ბრიუხოვეცი და ევგენია მანიუკოვა დაამარცხეს — 6:2, 6:4.

ტურნირის დამთავრების შემდეგ კორესპონდენტებთან საუბარში ლეილა მესხმა განაცხადა: „შეჯიბრებისთვის კარგად არ ვიყავი მომზადებული, ამიტომ ამ გამარჯვებამ ერთი-ორად გამახარა. სავსებით ვეთანხმები მეგობრებს, რომლებმაც გასახდელში მითხრეს — გამარჯვება ადვილია, როცა ფორმაში ხარ, ხოლო როცა თავს ვერ გრძნობ კარგად, მაგრამ მაინც აღწევ წარმატებას. ნიშნავს, რომ მაღალი კლასის ჩოგბურთელი ხარ“.

მიმდინარე სეზონში მესხმა ამ რანგის ტურნირებში მესამე წარმატება იზეიმა. „კრაფტ ჯენერალ ფუდსში“ გამარჯვებისთვის მას კომპიუტერულ რეიტინგში 110 ქულა დაერიცხება. და მაშინ ქართველ ჩოგბურთელს მსოფლიოს თექვსმეტ უძლიერეს ჩოგბურთელს შორის მოხვედრის შანსი უჩნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მესხი წლის ბოლოს ქალთა ყველაზე პოპულარულ ტურნირში — „ვირჯინია სლიმზის“ ფინალში ითამაშებს (ტაიმარითება ნიუ-იორკში).

საერთაშორისო კალენდარი წლის ბოლოს ტრადიციულად, ბევრ შეჯიბრებას მოიცავს. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთი მათგანის შედეგებს.

სიდნეიში დასავლეთგერმანელმა ბორის ბეკერმა მოიგო ავსტრალიის ღია ჩემპიონატი დახურულ კორტებზე, რომლის საპრიზო ფონდი 1 მილიონ დოლარს შეადგენდა. ფინალში ბეკერმა სძლია შვედ სტეფან ედბერგს — 7:6, 6:4, 6:4.

ტულუზაში კი (საპრიზო ფონდი 300 ათასი დოლარი) 17 წლის ფრანგმა ფაბრის სანტოროომ ჰაიტელ რონალდ აგენორასთან გამარჯვების შემდეგ (7:6, 6:3) ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე იქნება შვედი იონას სვენსონი (ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში აჯობა ისრაელის წარმომადგენელ ამოს მანსდორფს — 6:7, 6:4, 6:3).

სურათზე: ლეილა მესხი.
ზურაბ გენგიურის ფოტო.

სურათებზე: მიმდინარეობს I ტური.
ა. კოტორაშვილის ფოტოები. („ლელოს“ სპეც. კორ.).

პრეტენდენტთა ტურნირზე

დებიუტი საინტერესოა

ბორჯომში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირის პირველ ტურში ნონა გაფრინდაშვილმა თეთრებით მოუგო ქეთევან კახიანს. მეტად მძაფრი გამოდგა ძველი მეტოქეების ელენა ახმილოვსკაია-დონალდსონისა (აშშ) და ნანა იოსელიანის შეხვედრა. გავიხსენოთ, რომ სწორედ მათ გაიყვეს პირველი-მეორე ადგილები ორი წლის წინ წყალტუბოში გამართულ პრეტენდენტთა ტურნირში და შემდეგ დამატებით მატჩში გამარჯვება ქართველ მოჭადრაკეს დარჩა.

ამჯერად იოსელიანმა შავებით სრულიად მოულოდნელად აირჩია ძველინდური დაცვა, რომლისათვისაც, როგორც გამოირკვა, არასოდეს მიუმართავს. თეთრები, როგორც ამ დებიუტისთვის არის დამახასიათებელი, ამზადებდნენ შეტევას ლაზიერის ფრთაზე, იოსელიანი კი აქტიურად თამაშობდა ბრძოლის საწინააღმდეგო უბანზე. მან დაასწრო მეტოქეს და სახიფათოდ შეუტია თეთრების მეფეს. მაშინ ახმილოვსკაიამ საინტერესო ტაქტიკური შესაძლებლობა გამონახა, რომელიც ფიგურის შეწირვასთან იყო დაკავშირებული. მწვავე „შეხლა-შემოხლის“ შემდეგ მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ალისა გალიამოვამ მოუგო სი ჟუნს (ჩინეთი), ელიშკა კლიმოვა-რიჰტეროვა (ჩეხოსლოვაკია) და ალისა მარიჩი (იუგოსლავია) კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მეორე ტურში ყურადღების ცენტრში იყო ნანა იოსელიანისა და ნონა გაფრინდაშვილის შეხვედრა. ადრინდელი სატურნირო პარტიები რომ არ გავითვალისწინოთ, მათ 1980 წელს პრეტენდენტთა მატჩიც აქვთ ნათამაშევი. მაშინ თანაბარი ანგარიში აღინიშნა, მაგრამ დამატებითი მონაცემებით შემდგომი ბრძოლა იოსელიანმა განაგრძო.

ამჯერად იოსელიანმა თამაში მეფისწინა პაიკით დაიწყო, რასაც გაფრინდაშვილმა რუსული დაცვით, მისთვის სრულიად უჩვეულო დებიუტით უპასუხა. იყო დრო, როდესაც იგი უფერულ დასაწყისად მიაჩნდათ, სადაც ძნელია ბრძოლის გამწვავება. დღევანდელი თეორია არაერთი საინტერესო გამოკვლევითაა გამდიდრებული. ასე რომ, დამოკიდებულება რუსული პარტიისადმი სრულიად შეიცვალა. ამჯერად იგი სავსებით შეეფერებოდა კიდეც ორი უკომპრომისო მოჭადრაკის საბრძოლო განწყობილებას. თამაში თავიდანვე მწვავე ხასიათს ატარებდა. როცა იოსელიანი შეეცადა, მეტოქის მხედარს დაეტოვებინა ცენტრალური უჯრა, რომელიც მას ამ დებიუტში ტრადიციულად უკავია, მსოფლიო ექს-ჩემპიონმა არ მოისურვა მისი დაცვა, შეწირა ფიგურა და სამაგიეროდ დაიწყო პირდაპირი იერიში მეტოქის მეფეზე. შეწირულ ფიგურაში მან სამი პაიკი მიიღო, მაგრამ ამასობაში იოსელიანმა ცენტრში გადაიყვანა მეფე და საიმედოდ დაიცვა იგი. მეტად მწვავე და ორმხრივი შესაძლებლობებით სავსე პოზიციაში მეტოქეებს ძლიერი ცაიტნოტი წამოეპარათ. იოსელიანის სწორი სვლის შემთხვევაში გაფრინდაშვილს მუდმივი ქიშით პარტია ყაიმით უნდა დაემთავრებინა, მაგრამ ნანამ უზუსტოდ ითამაშა. ბოლოს თამაში გადავიდა ოთხი კუს უიშვიათეს ენდშპილში, სადაც გაფრინდაშვილს ზედმეტი პაიკი აქვს. პარტია გადაიდო. მარიჩმა მოუგო კახიანს. გალიამოვამ მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა ახმილოვსკაია-დონალდსონთან, ხოლო კლიმოვა—რიჰტეროვა სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე სი ჟუნს.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ წინ არის ალისა გალიამოვა, რომელმაც ორივე პარტია მოიგო. ალისა მარიჩმა ერთნახევარი ქულა მოაგროვა. ნონა გაფრინდაშვილს ერთი ქულა და ერთი უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს, ელიშკა კლიმოვა-რიჰტეროვას — ერთი ქულა.

ორმოცდამეთვრამეტე სტარტი



კაირო. აქ დაიწყო ტრადიციული რბოლა — „ფარაონების რალი“ მოტოციკლებისთვის, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანებისათვის. რომლის საერთო სიგრძე 5278 კილომეტრს შეადგენს, ტრასა, როგორც ცნობილია, ზოგ ადგილას გადის ქვიშაში, უდაბნოში, ჭაობში, ზოგან კი მთიან უღელტეხილებსა და ოაზისებში. წლევანდელი შეჯიბრების მთავარ ფავორიტებად ითვლებიან ფინელი არი ვატანენი და ბელგიელი ჯეკი იქსი. ამჯერად ისინი „პეჟოს“ ნაცვლად „სიტროენზე“ ასპარეზობენ.

ბუენოს-აირესი. მძლეოსნურ მარათონში მონაწილეობა მიიღო 14 ათასზე მეტმა მძლეოსანმა. დისტანცია ქალაქის ქუჩებში ყველაზე სწრაფად 29 წლის ბრაზილიელმა ემილიო სოუზა დე ვარგასმა გაირბინა — 2:17.36. მეორე ადგილზე გავიდა არგენტინელი ტორიბიო გუტიერესი (2:18.01), მესამეზე — ჩილელი ალეხანდრო არროსა (2:20.07)

ნიუ-იორკი. „ბელმონდ პარკსში“ გამართული დღი „ტოლფ კლასიკი“ რომლის საპრიზო ფონდი 600 ათას დოლარს შეადგენდა მოიგო ცხენმა „კაკეტესმა“ და მისმა მხედარმა რეი კოკრეინმა. ერთნახევარი მილის გავლას გამარჯვებულმა 2.25,0 მოანდომა.

ფელეტონი - ეკიმოსელი



ბუენი ჩვენი ქვეყნის ექვს ქალაქში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა 58-ე ჩემპიონატის გათამაშება. თბილისის „დინამო“, როგორც ვიუწყებოდით, ალმა-ათის ასკ-სთან, ფრუნზეს „დინამოსთან“ და ტაშკენტის „უზსტროიმეხანიზაციასთან“ ერთად ტაშკენტში ასპარეზობს.

როგორც საკდესის კორესპონდენტი იუწყება, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება კაუნასის „ჟალგირისთან“ და ვილნიუსის „სტატიბასთან“ საკავშირო ჩემპიონატში მათი შესაძლებელი მონაწილეობის შესახებ. თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, ბალტიისპირეთის ეს კლუბები გათამაშებაში მეორე ეტაპიდან ჩაებმებიან (ე. ი. უკეთეს შემთხვევაში მეცხრე ადგილს მიაკუთვნებენ).

მიმდინარე სეზონში ქვეყნის უძლიერესმა კლუბებმა ახალი დანაკლისი განიცადეს. ეს ყველაზე მეტად ცსკა-ს ეხება. ვლადიმერ ტკაჩენკო სათამაშოდ გადავიდა ესპანეთში. სერგეი ტარაკანოვი — გერმანიაში, ანდრეი ლოპატოვი — საფრანგეთში, სერგეი პოპოვი კი — თურქეთში. ალმაათელი ვალერი ტიხონენკო წლეულს გამოდის ესპანეთში, ალექსანდრე ბელოსტენნი და ანდრეი პოდკოვიროვი (ორივე — კიევის „ბუდიველნიკი“) — გერმანიაში. აღნიშნულ კალათბურთელთაგან ზოგიერთი კონტრაქტის თანახმად საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას დაიცავს.

ნაკრებს, როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საპასუხისმგებლო მატჩები აქვს ჩასატარებელი (ჯერჯერობით გუნდმა სამიდან ორი შეხვედრა მოიგო). 28 ნოემბერს საბჭოთა ნაკრები შინ ჩეხოსლოვაკიის გუნდს შეხვდება, 1 დეკემბერს ისრაელში ითამაშებს, 4 დეკემბერს კი— ისევ შინ საფრანგეთთან. ნოემბერში გუნდი აშშ-ში გაემგზავრება და იქ ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს სტუდენტურ კლუბებთან.

ᲫᲐᲛᲘ ᲨᲘᲥᲠᲘᲡᲐ. ᲫᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

ᲪᲙᲑᲘᲚ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡ...

ეროვნული ბიბლიოთეკ

ᲛᲝᲮᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ საკავშირო სპარტაკიადამ მრავალი სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა. ერთ-ერთ მათგანად საქართველოს ბადმინტონისტთა ნაკრების წარმატებით გამოსვლა და მათ მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედლები უნდა ჩაითვალოს. პროგნოზის მოყვარულებს მედლების წინასწარ „დაახგარიშებიასს“ ეს „ნაბოლარა“ არც გახსენებიათ, ვინაიდან, საქართველოს ნაკრებს კარგა ხანია თავი არაფრით გამოუჩენია და, თუ კიდევ იტყოდა თავის სათქმელს, არც ის ეგონათ. თუმცა სპარტაკიადაზე წასვლის წინ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ირაკლი კავილაძესაც არ ჰქონია სპრიზო ადგილის დაკავების დიდი იმედი, მაგრამ მისმა შეგირდებმა მართლაც კარგად ითამაშეს და საერთო ჯამში მხოლოდ რსფსრ-ის და მოსკოვის გუნდებს ჩამორჩნენ.

ერთი სიტყვით, საქმე ადგილიდან დაიძრა, წარმატებაც თვალსაჩინოა და ეს გამარჯვება იმ პირველ მერცხალს რომ არ დაემსგავსოს, გაზაფხული რომ ვერ მოჰყავს, საჭიროა სპორტის ამ სახეობაში მომეცადინე მოზარდების მომზადებას სათანადო და საგანგებო ყურადღება მიექცეს.

დღეს. როდესაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამ თვალნათლივ დაგვანახვა ჩვენი სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოტენციური შესაძლებლობები, ღრმა ანალიზს მოითხოვს ბადმინტონის განვითარების პერსპექტივაც, რადგან, როგორც თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორმა — ემზარ კიკაბიძემ გვითხრა, ამ სკოლაში ორიოდე წლის წინ ბადმინტონს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. წარმატებასა და შედეგს რომ ვერ ხედავდნენ, თანხის უმეტეს ნაწილს მაგიდეს ჩოგბურთსა და ტყვიის სროლას ახმარდნენ. ახლა კი, როცა სკოლას მოსწავლეთა სპარტაკიადის გუნდური ტურნირის ბრინჯაოს მედლის პრიზიორები ჰყავს, ფიქრობენ, რომ მეტი სახსრები სწორედ ბადმინტონში „დაბანდონ“. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მხოლოდ რსფსრ-ის და მოსკოვის გუნდებმა აჯობეს. მიზეზი გაინტერესებთ? მოვუსმინოთ საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელს ირაკლი კავილაძეს: „სპარტაკიადამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტება — უძლიერესია ის, ვისაც კეთილმოწყობილი ბაზები და კარგი პირობები აქვს ვარჯიშისათვის. რუსეთისა და მოსკოვის ნაკრებები სპეციალური პროგრამით ემზადებიან. დღეში სამჯერადი ვარჯიშები აქვთ და, საერთოდ, იქ სპეციალური კლუბია გახსნილი ბადმინტონისტთათვის. მართალია, უკრაინაშიც არანაკლები ყურადღება ექცევა სპორტის ამ სახეობას, მაგრამ, რატომღაც, ისინი მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდნენ. სპორტის ყველა სახეობა წინ მიდის, ვითარდება. რასაკვირველია ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა არ ჩამოვრჩეთ და არ გამოგვრჩეს რაიმე სიახლე. თვალნათლივ დავინახეთ, რომ დღეში ერთჯერადი ვარჯიშებით შორს ვერ წავალთ, რადგან კავშირის მასშტაბითაც დღეში სამჯერ ვარჯიშობენ მოზარდები. წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ ის პირობები გვქონდეს, რაც რუსეთსა და უკრაინაშია, მერწმუნეთ, გაცილებით უკეთეს შედეგს ვაჩვენებდით და, თუ პირად პირველობაში ვერც ერთი სპრიზო ადგილი ვერ დავიკავეთ, — სწორედ ამ მიზეზით. ჩვენმა მოზარდებმა ვერ შეძლეს გამკლავებოდნენ სპეციალური პროგრამით ნავარჯიშებ თანატოლებს და მარცხი სწორედ რუსეთისა და მოსკოვის ნაკრებების წარმომადგენლებთან იწვნიეს. ყველა მედალი პირად ჩათვლაში ხომ სწორედ ამ ორმა გუნდმა მოიპოვა“.

კარგი ბაზები, გაგიხარია, მართლაც კარგია და, უმეტეს შემთხვევაში, წარმატების საწინდარიცაა. საქართველოში, ფაქტობრივად, სამ ქალაქშია ბადმინტონი განვითარებული — თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. რესპუბლიკის ნაკრებიც სწორედ ამ ქალაქების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. გოგოები: ინგა ხურციძე, სოფიკო სალაძე, ჟანა კოხრეიძე და ნანა ღვინჯღილია ქუთაისელები არიან, ვაჟები კი — ბაქარ გომელაური და ნიკოლოზ კირაკოზოვი — თბილისის სახალხო განათლების კომპლექსური სპორტსკოლის აღსაზრდელები, ვიქტორ მალიუტინი და ალბერტ ოვანესიანი — ბათუმელები, ამდენად, ამ ქალაქებში ბადმინტონის განვითარების არცთუ ურიგო პირობებია. ის კი არა, თბილისთან შედარებით ბათუმსა და ქუთაისში უკეთესი პირობები აქვთ, რადგან



სცენტრალური დარბაზები აქაურებს უფრო დიდი ხნით ეთმობათ. ახლახან ყვარელსა და სამტრედიაშიც გაიხსნა ბადმინტონის ჯგუფები და, იმედია, ქართველ ბადმინტონისტთა „საძმოს“ მეტი პერსპექტიული ახალგაზრდა შეემატება.

ბაზების უქონლობა თბილისელებს ყველაზე მეტად აწუხებთ. წელს მათ ნება დართეს ქალაქის სხვადასხვა სკოლების დარბაზებში ევარჯიშათ, მაგრამ როდემდე შეიძლება ასე — მომთაბარეებივით ცხოვრება. ყოველ ქალაქში ერთი სპეციალიზებული დარბაზიც რომ იყოს, საქმე გაცილებით წინ წაიწევდა. სამწუხაროა, რომ სოხუმს, რომელსაც შესანიშნავი პირობები აქვს ბადმინტონისტთა აღსაზრდელად, ბოლო წლებში აღარ შეუხსენებია თავი და რესპუბლიკის ნაკრებს ერთი სპორტსმენიც ვერ შესძინა.

სპარტაკიადის ჩემპიონთა ერთ-ერთი მთავარი „კოზირი“ სპეციალური კლასებია და, ალბათ, მიზანშეწონილია ამ გამოცდილების გადაღება. ამ ეტაპზე, იქნებ ის მაინც შევძლოთ, სპარტაკიადის პრიზიორი ნაკრების წევრებს „გამოუძებნოთ“ ადგილი განათლების სამმართველოს სპორტსკოლაში, რათა მათ მაინც ჰქონდეთ საშუალება ევარჯიშონ სპეციალური პროგრამით.

მწვრთნელის პრობლემა ჩვენში სპორტის თითქმის ყველა სახეობის საერთო სენია. თუ არა ენთუზიასტი, რომელი პროფესიონალი გაჩერდება 115 მანეთზე. თითო ბავშვის მომზადება ორი(!) მანეთი ღირს და მწვრთნელმა თვეში ორას მანეთამდე მაინც რომ გამოიმუშავოს 100 მოზარდის მომზადება უწევს. ამიტომაა, პროფესიონალი მწვრთნელები სხვაგან რომ გარბიან

სამუშაოდ. თბილისს სახალხო განათლების სამმართველოს კომპლექსურ სპორტსკოლაში ამჟამად გადაწყვეტილი აქვთ ექსპერიმენტის სახით ორი სტუდენტი მოიწვიონ ფიზკულტურის ინსტიტუტიდან სამუშაოდ, რათა, როდესაც მთავარი მწვრთნელი შეკრებაზე წავა, ბავშვები უპატრონოდ არ დარჩნენ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, მიუხედავად ასეთი ძნელი პირობებისა, ვინ აგრძელებს მუშაობას ნორჩ ბადმინტონისტებთან? უპირველესად ისინი უნდა დავასახელოთ, ვინც სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლის პრიზიორები აღზარდა, მათ შორის — ქუთაისელი მწვრთნელები ოთარ აბზიანიძე და მზია ლებანიძე. ქუთაისელ ბადმინტონისტთა წარმატებები ხომ სწორედ ბატონ ოთარის სახელს უკავშირდება. ბათუმელი ვაჟები კი ვიქტორ მალიუტინმა (ერთ ერთი პრიზიორი მისი შვილიც იყო) და ლიუდმილა ტკაჩოვამ მოამზადეს. აღსანიშნავია, რომ ევროპის ორი ჩემპიონი არტურ ხაჩატურიანი და თემურ ვარშანიძე, რომლებმაც ამ ექვსი თვის წინ მოიპოვეს ეს საპატიო ტიტული, სწორედ ვიქტორ მალიუტინმა აღზარდა. ირაკლი კავილაძე კი, რომელიც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია და თბილისელი სპორტსმენებიც მისი მოსწაფეები არიან, სულ ორი წელია, რაც თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს კომპლექსურ სპორტსკოლაში მოვიდა და საქმეს ხელიც დაატყო. უბრალოდ რომ ვთქვათ, ყოველი საქმის წინსვლას მონდომება და ძალისხმევა სჭირდება და, თუ ამ პრინციპით მივუდგებით ბადმინტონსაც, პრობლემების მიუხედავად, წარმატებების იმედი უნდა ვიქონიოთ. პრობლემები კი, თავისთავად, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს, რათა სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლები ტკბილ მოგონებად არ დარჩეს.

ᲘᲜᲒᲐ ᲩᲐᲮᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲯᲘᲣᲢᲝᲜᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ?

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ რაიონში ამ ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოს: ხშირად იმართება რაიონული პირველობები, ეწყობა ამხანაგური შეხვედრები მეზობელი რაიონების მოჭიდავეებთან. ოღონდ აქაურ მოჭიდავეებს არც კარგი დარბაზი აქვთ და არც სათანადო პირობები წვრთნისათვის.

ამას წინათ კრასნოიარსკში ჩატარდა საკავშირო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობდნენ რსფსრ-ის, კრასნოიარსკის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის გუნდების მოჭიდავეები. საქართველოს ღირსებას კი ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში სწორედ ლაგოდეხელი მოჭიდავეები იცავდნენ. სხვათა შორის, ტატამზე გამოვიდნენ აგრეთვე, ჩინეთის, სამხრეთ კორეის, მონღოლეთის ნაკრებების წევრებიც, სულ კრასნოიარსკში 60 ქალაქის 200 მოჭიდავე გამოდიოდა.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ჩინელმა მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ კრასნოიარსკის ნაკრების წევრები, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს ლაგოდეხელმა მოჭიდავეებმა, მეოთხე — მონღოლებმა.

ლაგოდეხელთა გუნდი (მწვრთნელი — ძიუდოში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, ქვეყნის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ხუთგზის საქართველოს ჩემპიონი გიორგი მუმლაძე) დაკომპლექტებული იყო სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წევრებით. გუნდის ღირსებას იცავდნენ სოფელ აფენის მოჭიდავეები: ზაზა გულიაშვილი, იმედა ბუცხრიკიძე, მამუკა მოდებაძე, გიორგი ბარამიძე, ბაკურ თურქაძე, გენადი და გიორგი მუმლაძეები. ქართველმა მოჭიდავეებმა კრასნოიარსკის ტატამზე ჭიდაობის მოყვარულთა გული მოინადირეს.

ასპარეზობის მონაწილეთა შორის იყვნენ სეულის ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ჩინელი სეი გო ცი, სტუდენტთა უნივერსიადის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის მედლის მფლობელი ოლეგ მალცევი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები: ი. სოლოვიოვი, ს. კორნიენკო და მრავალი სხვა.

ტურნირზე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია გენადი მუმლაძემ, მან 95 კილოგრამი წონის მოჭიდავეთა შორის მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო აბსოლუტურ წონით კატეგორიაში — მეორე. იგი დამარცხდა მხოლოდ ჩინელ სეი გو ცისთან.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ასევე მეორე ადგილზე გავიდა გიორგი მუმლაძე.

გუნდი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად დაკომპლექტებული იყო სოფელ აფენის მოჭიდავეებით. მაგრამ მათ, სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევს აფენის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე თენგიზ კაპანაძე. მან, პირიქით, მოჭიდავეებს საჭიდაო დარბაზი გამოუკეტა და შიგ არ უშვებს, რა დროს ჭიდაობაა, მე თამბაქოს გეგმა მაქვს, ჭიდაობა მოცლილთა და ხელმოცარულთა საქმეაო(!)

— თავმჯდომარე რამდენიმეჯერ გავაფრთხილეთ, რომ ყურადღება მიექცია მოჭიდავეებისათვის და ფინანსურადაც დახმარებოდა, მაგრამ არავითარმა მითითებებმა და თხოვნამ არ გაჭრა, — გვითხრა „შევარდენის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ, სპორტის ოსტატმა ალბერტ ნარეშელაშვილმა.

იქნებ აგროკომბინატ „ლაგოდეხის“ გენერალური დირექტორი აკაკი ბახტაძე ჩაერიოს ამ საქმეში და სპონსორი გამოუძებნოს ამ იმედისმომცემ მოჭიდავეთა გუნდს, ხოლო სოფლის ახალგაზრდობა და ალბათ მთელი სოფელი საკადრის სათქმელს ეტყვის თავმჯდომარეს, ისე, როგორც დღევანდელობას მოეთხოვება; ჭიდაობა ხომ ჩვენი ეროვნული სახეობაა და მას ყველა მხარში უნდა ამოვუდგეთ.

ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ლაგოდეხი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ლაგოდეხელ ძიუდოისტთა გუნდი.

ᲛᲐᲡᲬᲘᲜᲓᲚᲘᲐ... ᲜᲐᲬᲕᲔᲜᲐᲮᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲛᲔ

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ, ტრადიციულად, სპორტულ ღონისძიებათა სიმცირე იგრძნობა და ეს არა მარტო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებს ეხება. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ჩვეულებისამებრ, მიწყნარდება მობურთალთა, მოჭიდავეთა და სპორტის სხვა სახეობების გულშემატკივართა გამამხნევებელი შეძახილები. მაგრამ შემოდგომით კვლავ ახმიანდება ხოლმე საჭიდაოები, სპორტული მოედნები, დარბაზები...

სპორტსაზოგადოება „შევარდენმა“ თერჯოლის რაიონული საბჭოს ინიციატივით კიდევ ერთი საინტერესო სპორტული ღონისძიება მოეწყო ნავენახევის მღვიმის ტერიტორიაზე: ჩატარდა შეჯიბრებები რაიონის ფიზკულტურელთა შორის ტურისტულ ესტაფეტაში, სამძიმეების აწევაში, შაშში, ბაგირის გადაძალვაში, მკლავჭიდში.

საინტერესო, უშეღავათო ასპარეზობების შემდეგ გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ჭოგნარის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, მეორე ადგილზე გავიდნენ სამრეწველო კომბინატის, მესამეზე — თერჯოლის ცენტრალური საავადმყოფოს ფიზკულტურელები.

ᲕᲐᲜᲝ ᲙᲣᲢᲐᲚᲐᲫᲔ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘ ᲛᲘᲔᲫᲚᲕᲜᲐ

ᲨᲣᲐ საუკუნეების ცნობილი ქართველი მწერლისა და ასტრონომის ტბელ აბუსერისძის დაბადების 800 წლისთავს (1190-1240) მიუძღვნეს ბათუმელმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა მასობრივი ასვლა კავკასიონის მწვერვალ გორზე (სიმაღლე 4.200 მ). ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ აგრეთვე თელაველი ახალბედა მთამსვლელები. მოლაშქრეებმა მწვერვალზე ალმართეს საქართველოს სამფეროვანი დროშა. ასვლას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ალპური კლუბის გამოცდილი ინსტრუქტორები (ხელმძღვანელი ინსტრუქტორ-მეთოდისტი ემზარ ალავერდაშვილი). სულ მწვერვალზე ავიდა 32 კაცი.

ალპინიადის სპონსორები იყვნენ ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელი (დირექტორი ალენ ხარაზი) და ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო (დირექტორი მამია ხარაზი) ქარხნები, აგრეთვე თელავის რაიაღმასკომი.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩი უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის. ზუგდიდში „ოდიშმა“ გორის „დილას“ უმასპინძლა და გაიმარჯვა — 3:1.

გათამაშების ცხრილი — უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 9 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“ (თბილისი)	28	20	5	3	80-19	65
„გორდა“ (რუსთავი)	28	19	3	6	53-22	60
„გურია“ (ლანჩხუთი)	28	18	5	5	67-18	59
„ბათუმი“ (ბათუმი)	27	17	6	4	49-16	57
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	27	16	4	7	43-24	52
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	26	13	5	8	43-29	44
„ცხუმი“ (სოხუმი)	28	11	9	8	42-29	42
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	28	9	9	10	39-36	36
„დილა“ (გორი)	27	10	5	12	40-37	35
„სანავარდო“ (სამტრედია)	28	9	7	12	24-34	34
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	27	9	6	12	35-53	33
„მზიური“ (გალი)	28	9	5	14	35-56	32
„ოდიში“ (ზუგდიდი)	28	8	8	12	32-34	32
„კოლხეთი“ (ხობი)	28	8	8	12	32-38	32
„სამგურალი“ (წყალტუბო)	28	9	4	15	32-47	31
„ივერია“ (ხაშური)	28	9	3	16	25-52	30
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	28	6	6	16	27-47	24
„ლიახვი“ (ცხინვალი)	28	—	—	28	11-117	0

I ჯგუფი

„სიხარული-90“ (ბაბრა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:2 (0:0).

გაგრა. ცენტრალური სტადიონი. 5 ოქტომბერი.

„სიხარული-90“: დარჯანია, ბოგოსიანი, არღვლიანი, დ. მინდაძე (ადამია), ზარგელია, ზ. მინდაძე, ჯუკელიკიანი, სიჯინავა (დეკანოიძე), სიმონიანი, გოგიაშვილი, დგებუაძე.

„ალაზანი“: ჭუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი, წიქარიშვილი (ბარნაბიშვილი), კილასონია, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, ჭუმბურიძე (სოლოდაშვილი), თეთრაული, სეფაშვილი, ნადირიანი.

მსაჯები: ე. სილაგავა, ზ. ლაცაბიძე (ორივე — თბილისი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

გაგრის გუნდი უმთავრესად ამავე ქალაქის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღზრდილებით არის დაკომპლექტებული, რომლის დირექტორიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გიორგი სიჯინავაა, ამიტომ, ცხადია, თამაშზე მისული პირველად სწორედ მას გამოველაპარაკე: — გაგრელებს დღესაც კარგი გუნდი გვყავს, ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭები თამაშობენ „სიხარული-90“-ში. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ოთხი ძირითადი ფეხბურთელი გვაკლია და ალბათ გაგვიჭირდება გათამაშების ლიდერთან ბრძოლა.

პირველ ტაიმში გოლი არ გასულა, თუმცა ორივე გუნდს ჰქონდა ამის საუკეთესო შესაძლებლობა; სტუმართაგან — სოლოდაშვილს, მასპინძელთაგან — სიჯინავას და გოგიაშვილს.

შესვენების შემდეგ, გაგრელთა ბომბარდირმა გოგიაშვილმა მაინც მოახერხა ალაზნელი ჭუნიაშვილის კარის აღება — საჯარიმოში მიღებული ბურთი თავსზემოთ მოხდენილად გადაუგდო მეტოქის მეკარეს.

არ გასულა ერთი წუთიც და ზაალიშვილმა თერთმეტმეტრანი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა — მეტოქეებს თითქოს ახლაც უნდა გაეყოთ ქულები (როგორც პირველი წრის მატჩში, რომელიც ფრედ — 0:0 დამთავრდა გურჯაანში), მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გურჯაანელთა კაპიტანმა ბაწაშვილმა არასაგოლე სიტუაციიდან მოულოდნელად დაარტყა კარში 20-22 მეტრიდან და დაამარცხა „ალაზანი“ — 2:1. გურჯაანელებმა, საკალათბურთო ტერმინი რომ ვიხმაროთ, მორიგი „სამეულიანი ტყორცნა“ განახორციელეს უმაღლესი ჯგუფისაკენ მიმავალ გზაზე.

ოთარ ნოზაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი 30-ე ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:3, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სიონი“ (ბოლნისი) 2:0, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:1, „სულორი“ (ვანი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 6:2, „სქურა“ (წალენჯიხა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 5:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „იმერეთი“ (ხონი) 2:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0.0.

ბურთი სუნამოს სურნელით

ქალთა ფეხბურთს (ისევე როგორც ბევრ სპორტის სახეობას, სადაც ქალები გამოდიან) თავიდან უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა, როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში, მაგრამ, ეტყობა, საქართველოში ქალთა ფეხბურთის მომხრენი საკმაოდ ცოტანი. ამის თქმის უფლებას გვაძლევს შაბათს ავლაბრის სტადიონზე გამართული საფეხბურთო მატჩი — ქალთა ფეხბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი შეხვედრა თბილისის „ივერიასა“ და ჭიათურის „იმერეთს“ შორის. მონაწილეებსა და მაყურებლებს ჩემპიონატის დაწყება მიულოცა ქალთა ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მურმან გიორგაძემ.

ორთაბრძოლა მეტად საინტერესოდ წარიმართა. მაყურებელმა იხილა ყველაფერი, რაც ამშვენებს საერთოდ ფეხბურთს: ულამაზესი დარტყმები, დრიბლინგები, მეკარეთა თავგანწირული ნახტომები, გაცხარებული, მოულოდნელი გადაცემები და, რა თქმა უნდა, გოლიც, რომელიც 41-ე წუთზე გაიტანა ჭიათურელმა მაგდა სამხარაძემ. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში — გაიმარჯვა „იმერეთმა“ — 1:0.

აქვე დავძენთ, რომ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ქალთა შორის „იმერეთისა“ და „ივერიის“ გარდა მონაწილეობენ ბაღდათის „ვარციხე“, თბილისის „შევარდენი“, ქუთაისის „ქუთაისი“ და თბილისის №2 სამედიცინო სასწავლებლის გუნდი. დიახ, ჯერჯერობით მხოლოდ ექვსი გუნდი, მაგრამ საქართველოში ქალთა ფეხბურთის განვითარების ტემპი და მისით დაინტერესებულთა რიცხვი გვაიმედებს, რომ გუნდების რაოდენობა მალე გაიზრდება.

• • •

სურათებზე: საქართველოს ფეხბურთელ ქალთა პირველი ეროვნული ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალისა და მატჩის ეპიზოდები.

ანზორ კოპლამაზაშვილისა და ზურაბ გენგიურის ფოტოები.

საქართველოს თასზე

გაიმართა საქართველოს თასის განმეორებითი მეოთხედფინალის გადატანილი მატჩი ქუთაისის „ქუთაისსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. ეს შეხვედრა ქუთაისელთა გამარჯვებით — 1:0 დამთავრდა, მაგრამ ბრძოლას შემდგომ ეტაპზე „გურია“ განაგრძობს, რადგან პირველი მატჩი მან დიდი ანგარიშით — 5:1 მოიგო.

პირველ ნახევარფინალში, რომელიც დღეს გაიმართება ერთმანეთს სოხუმის „ცხუმი“ და ბათუმის „ბათუმი“ შეხვდებიან. 10 ოქტომბერს კი თბილისის ეროვნულ სტადიონზე თბილისის „იბერია“ ლანჩხუთის „გურიას“ უმასპინძლებს.

23 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს თასის ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრები.

ჩემპიონი — მეცამეტედ!

განვლილ კვირას შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მატჩი კიევში სადაც ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ჩემპიონობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი მოსკოვის არმიელთა გუნდი. კიეველთა უპირატესობა ცხადზე ცხადი იყო, მათ ანგარიშით 4:1 სძლიეს მეტოქეს და კვლავ, უკვე მეცამეტედ, მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. ეს საუკეთესო მაჩვენებელია საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „პამირი“ (დუშანბე) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1; „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „შახტიორი“ (დონეცკი) — 3:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:1, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი) 1:0; „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:0.

საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

„დინამო“ (სოხუმი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:0

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი.

„დინამო“: ოვჩინიკოვი, ბონდარუკი, დობაშინი, საბიტოვი (ტუნკინი), თ. ლოგუა (შეპტიცკი), ენიკი (ნოსკოვი), კვარაცხელია, ახვლედიანი, სმირნოვი, ჩალიგავა, ხაგბა.

„ზენიტი“: ზაიკინი, პოდპალი, დოლგოპოლოვი, კუზნეცოვი, იგნატოვი, შჩუკინი, ზახარიკოვი, დმიტრიევი (ბობკოვი), ვარფოლომეევი, უხაჩოვი, რადჩენკო.

მსაჯი გ. იაკუბოვსკი (მინსკი).

ჯერ გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გაიძევეს ს. ვარფოლომეევი.

ორი კურდღლის მდევარი

სპორტული პრესა ბევრს წერს ფრანც ბეკენბაუერის კონტრაქტზე მარსელის „ოლიმპიკთან“. აი, რა გაგანცხადა ამ გუნდის მცველმა კარლ ჰაინც ფიორსტერმა, გფრ-ის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ამ კონტრაქტის თაობაზე.

— ბეკენბაუერს ჯოჯოხეთიც ელის და სამოთხეც. „ოლიმპიკი“ ძლიერი კლუბია, მისი პრეზიდენტი (მილიონერი ბერნარ ტაპი) ძალიან დაინტერესებულია გუნდის ბედ-იღბლით. „ოლიმპიკს“ ისეთი თავგამოდებული ქომაგები ჰყავს. რომელთაც მხოლოდ ნეაპოლელი გულშემატკივრები შეიძლება შევადაროთ. ამავე დროს, „ოლიმპიკი“ სიძლიერით ჩამოუვარდება „ბაიერნსა“ და იტალიის წამყვან კლუბებს, ეს ბეკენბაუერმა უნდა გაითვალისწინოს, როცა ეს დიდ პრეტენზიებს წაუყენებენ.

ბეკენბაუერის კონტრაქტში, ისიც არის აღნიშნული, რომ „ოლიმპიკში“ მუშაობა მას არ შეუშლის ხელს კავშირი იქონიოს აშშ-ის ნაკრებთან, რომელიც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატისათვის უნდა მოემზადოს. ეტყობა, ბეკენბაუერს მოუხდება აშშ-ში დროდადრო გამგზავრება. შემდეგ კი, 1992 წელს, როცა „კაიზერს“ ფრანგულ კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუთავდება, იგი მთლიანად გადაბარგდება ამერიკის შეერთებულ შტატებში და დაიწყებს ამ ქვეყნის ნაკრების ინტენსიურ მზადებას მსოფლიო პირველობისათვის.

რობერტო ბაჯო: უჩვეულო პრესინგი

იტალიელ გულშემატკივართა ახალი კერპი, ტურინის „იუვენტუსისა“ და ეროვნული ნაკრების წევრი რობერტო ბაჯო ამჟამად პოლიციის შეუნელებელი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ვინაიდან შიშობენ, რომ აქაურმა მაფიოზებმა და რეკეტირებმა არ მოიტაცონ პოპულარული მოთამაშე. სადაც კი წავა, რობერტო ბაჯოს მუდამ თან ახლავს ორი შეიარაღებული მცველი.

ამაში, ალბათ, ისიც დიდ როლს თამაშობს, რომ რ. ბაჯოს საფასურად „იუვენტუსმა“ დიდძალი თანხა გადაუხადა „ფიორენტინას“.

გამოთხოვება სასტვენთან

ფეხბურთის ცნობილმა არბიტრებმა — მიშელ ვოტრომ (საფრანგეთი) და ერიკ ფრედრიქსონმა (შვეცია) საკმაო ხნის წინ განვლეს თავიანთი სპორტული კარიერის საუკეთესო წლები. ახლა მათ უნდა იზრუნონ მსაჯობის კარიერის დამთავრებაზე. ამის შესახებ აზიადის განვლილ თამაშებზე, პეკინში, განცხადებით გამოვიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის წარმომადგენელი ფარუკ ბუძო.

— ერიკ ფრედრიქსონმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა ვერ ამაზე აქ ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ თანხის ზუსტი ოდენობა არავინ იცის.

საბჭოთა კავშირის კალათბურთის ნაკრებმა

ბოლო ადგილი დაიკავა

ბელგრადში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე, ეროვნულ ნაკრებებს შორის, ბოლო ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. ეს ფაქტი ბევრ ადამიანს, ალბათ, ეჭვებს ბადებს, ოლონდ ეს ეჭვები ბოლოდ ეჭვებად ეგულებოდეს, ეს ფაქტი ბევრ ადამიანს, ალბათ, ეჭვებს ბადებს, ოლონდ ეს ეჭვები ბოლოდ ეჭვებად ეგულებოდეს, ეს ფაქტი ბევრ ადამიანს, ალბათ, ეჭვებს ბადებს, ოლონდ ეს ეჭვები ბოლოდ ეჭვებად ეგულებოდეს,

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. სხი-ს სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„აკადემია“ (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 16:13 (13:3).

„აკადემია“: დ. ძაგანელი; ორჯონიკიძე, კალანდაძე, ჩხენკელი, გვაზავა (გ. ძაგანელი); შ. მოდებაძე, ცაგარეიშვილი; ვ. წიკლაური, გილაური, სვანიძე (ცირეკიძე), ახალთიანი, კუბლაშვილი, შოთაძე, ზ. მოდებაძე; ღვინიაშვილი. — ლელო, 2 არეკნი, 2 საჯარიმო.

„უნივერსიტეტი“: მგელაძე. მამულაშვილი, ჭუმბურიძე, გოგუა, ჭანტურია (ბალავაძე); ბროლაძე, ტოგონიძე; გურგენიძე, გიგინეიშვილი, კ. ჯმუხაძე; არაყიშვილი, ლიბრაძე, გობეჯიშვილი (ძაგანია). ხუხიშვილი (ყურაშვილი); თურქაძე. — ლელო, 2 არეკნი. საჯარიმო.

მსაჯი არჩილ ლაგოშვილი (თბილისი).

ძველ მეტოქეთა თამაში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საინტერესო და ამაღელვებელი გამოდგა. ჯერ იყო და „აკადემიამ“ მშვიდად მოიგერია „უნივერსიტეტის“ მწვავე ღერიშები, მე-11 წუთზე კი კლასიკური შეტევა განახორციელა, რომლის კულმინაციაც მცველ ძაგანელის მარაოში ჩართვა, მეტოქის დაცვის ხაზის გარღვევა და შუამავრ კალანდაძის მიერ ლელოს გატანა იყო — 4:0. მართალია, ხუთიოდე წუთში „უნივერსიტეტის“ მცველმა — ჭუმბურიძემ საჯარიმოს გატანით თითქმის გააქარწყლა მეტოქის უპირატესობა, მაგრამ პირველი ნახევრის შუაწელიდან მოყოლებული, „აკადემია“ ინიციატივის ბატონ-პატრონი გახდა და 35 წუთის განმავლობაში ამ გუნდის გარე ნახევარმცველმა — მოდებაძემ ორ-ორი არეკნი და საჯარიმო გაიტანა. თამაშის დამთავრებამდე 25 წუთი რჩებოდა, მხატვრები კი მთელი 13 ქულით იყვნენ წინ. მიუხედავად ამისა, „უნივერსიტეტს“ გული არ გასტეხია და მეტოქეს არ დანებებია. პირიქით, ერთ-ერთ ეპიზოდში ტოგონიძემ მარჯვედ ისარგებლა აკადემიელთა შეცდომით და ჭუმბურიძეს ლელო გაატანინა. ათი წუთის შემდეგ იმავე ჭუმბურიძემ ულამაზესი არეკნი შეაგდო; თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი მოთამაშე-მწვრთნელმა —მგელაძემაც არეკნით გაიტანა ბურთი და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. აქ „უნივერსიტეტმა“ კვლავ შეუტია, მაგრამ „აკადემიამ“ დარბაისლურად დაიცვა ლელო და მოიგო თამაში, რომელშიც გუნდებმა წლევანდელი ჩემპიონატისთვის სარეკორდო რაოდენობით გაიტანეს არეკნები.

ფრიდონ დვალიშვილი

კვირას, 7 ოქტომბერს, წყალტუბოს „სათაფლიამ“ ჭითურის „იმერეთს“ უმასპინძლა. მატჩი სტუმრებმა მოიგეს — 22:0. გამარჯვებულთაგან ორი ლელო გაიტანა ვაშაძემ, ერთი — კაპანაძემ. ბურჯანაძემ შეაგდო ორი საჯარიმო და ერთი გარდასახვა, გიორგაძემ კი — —ერთი გარდასახვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ისევე როგორც წინა ტურში, ქუთაისელი მსაჯები არც ამჯერად ჩავიდნენ წყალტუბოში, რის გამოც მსაჯობამ ისევ ერთ-ერთი მოასპარეზე გუნდის მწვრთნელს მოუწია.

კვირასვე უნდა გამართულიყო „ზოოვეტ“—სტუ-ს შეხვედრა. მასპინძელთა თხოვნით, თამაში შუა კვირისთვის გადაიდო.

მსოფლიო პირველობა ჰავანაში

პირველი სვლა ანატოლი კარპოვისაა

ამდენი სეკუნდანტი?

GENS UNA SUMUS

ნიუ-იორკი. გასულ კვირას აქ გაიმართა ჰავანაში მსოფლიო პირველობაზე გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩის წილისყრა. პირველ პარტიას თეთრებით ითამაშებს მსოფლიო ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა კენტ პარტიაში პირველი სვლის გაკეთების უფლება მას ექნება.

სასტარტო შეხვედრა გაიმართა გუშინ და დამთავრდა მაშინ, როცა ჩვენთან 9 ოქტომბრის დილა თენდებოდა.

მატჩის რეგლამენტი, როგორც ვიუწყებოდით, 24 პარტიას ითვალისწინებს. ის, ვინც დააგროვებს 12,5 ან 13 ქულას, მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდება. ჩემპიონს თავისი ტიტულის შესანარჩუნებლად 12 ქულაც ჰყოფნის.

საინტერესო ბრძოლის პირველი ნახევარი ნიუ-იორკში ჩატარდება. მერე მატჩი რამდენიმე ხნით შეწყდება და ლიონში (საფრანგეთი) გადაინაცვლებს.

* * *

ერთი განმასხვავებელი რამ კასპაროვ-კარპოვის წინა მატჩებთან შედარებით: ორივე მხრიდან იმატა სეკუნდანტების რიცხვმა. მართალია, ოფიციალურ სეკუნდანტად მხოლოდ ორ-ორი მათგანი ითვლება, მაგრამ ეს წმინდა ფორმალური მხარეა.

მსოფლიო ჩემპიონის მთავარი სეკუნდანტი ახლა თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილია. საინტერესოა, რომ ამჯერად კასპაროვის მზადებაში საერთოდ არ მიუღია მონაწილობა მის აღმზრდელს, ცნობილ თეორეტიკოსს, ოსტატ ალექსანდრე ნიკიტინს. სამაგიეროდ, კასპაროვს ეხმარებოდა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე ალექსანდრე ბელიავსკი, რომელიც ადრე... კარპოვის ბანაკში იყო. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ შარშან ბელიავსკის ყოველგვარი კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი მსოფლიოს ექსჩემპიონთან, უფრო მეტიც. იგი კარპოვის წინააღმდეგ პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში არტურ იუსუპოვის ერთ-ერთი მწვრთნელი იყო. როგორც გახსოვთ, კარპოვმა დიდი გაჭირვებით მოიგო ეს მატჩი. ახლაც ბელიავსკის გამოჩენამ მსოფლიო ჩემპიონის ბანაკში კარპოვისა და მისი თანაშემწეების გარკვეული ნერვულობა გამოიწვია. მართალია, ლვოველი დიდოსტატი ამჟამად ნიუ-იორკში არ იმყოფება, მაგრამ კასპაროვისთვის მისი ადრინდელი კონსულტაციები, უეჭველია, ფრიად სასარგებლო იქნება.

კასპაროვის შტაბში ახლა აზმაიფარაშვილის გარდა შედიან დიდოსტატები: სერგეი დოლმატოვი და მიხეილ გურევიჩი (ისინი წინა მატჩებშიც იგივე ფუნქციებს ასრულებდნენ); საერთაშორისო ოსტატი გია გიორგაძე, რომელიც ჩემპიონმა ზურაბ აზმაიფარაშვილის რჩევით მიიწვია, და ბაქოელი ოსტატი, გარის ძველი თანამშრომელი ალექსანდრე შაქაროვი.

ასევე ცნობილი გახდა, რომ კარპოვის შტაბიც მნიშვნელოვნად არის გადახალისებული. მთავარი სიურპრიზია აქ ჯანთქმული უნგრელი მოჭადრაკის ლაიოშ პორტიშის გამოჩენა. აი, თურმე რატომ თქვა პორტიშმა უარი ნოვი სადის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, სადაც იგი, როგორც ყოველთვის უნგრეთის გუნდის ლიდერი უნდა ყოფილიყო. ამ საუკეთესო თეორეტიკოსის მიწვევით კარპოვი შეეცდება გაანეიტრალოს მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა სადებიუტო მომზადების სფეროში, რომელიც წინა მატჩებში იგრძნობოდა. ისე კი მთლად ახლად კარპოვ-პორტიშის ალიანსს ვერ ჩავთვლით. 1978 და 1981 წლებში კორჩნოისთან მატჩებისათვის მზადებისას პორტიში კონსულტაციას უწევდა კარპოვს ზოგიერთ დებიუტში, რომელთა სპეციალისტადაც მაშინ კორჩნოი ითვლებოდა. კარპოვის შტაბში ახალი ფიგურა არ არის ამერიკელი დიდოსტატი რონალდ ჰენლი, რომელიც მას პრეტენდენტთან ადრინდელ მატჩებშიც ეხმარებოდა. მთავარი სეკუნდანტი კვლავინდებურად მოსკოველი იგორ ზაიცევი, რომელიც წინათ მსოფლიო ექსჩემპიონ ტიგრან პეტროსიანის შტაბში დიდ როლს ასრულებდა. კიდევ ერთ მოკავშირეს, ოდესელ საერთაშორისო ოსტატ მიხეილ პოდგაეცს ამჯერად დაემატნენ საერთაშორისო ოსტატები ალექსეი კუზმინი (მოსკოვი, რომელიც მის მოგვარე დიდოსტატ გენადი კუზმინში არ უნდა შეგვეშალოს) და ანდრეი ხარიტონოვი (მოსკოვის ოლქი). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კარპოვის დელეგაციის ხელმძღვანელია ცნობილი თეორეტიკოსი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დიდოსტატი ნიკოლაი კროგიუსი, დიდად გამოცდილი მწვრთნელი და ძლიერი პრაქტიკოსი.

საინტერესოა, რომ აზმაიფარაშვილი კატეგორიულად აცხადებს, გაიმარჯვებს კასპაროვი, კროგიუსი კი პროგნოზისგან თავს იკავებს.

ვფიქრობთ, უძლიერესი ჩაივლის

თბილისელ და ჩელიაბინსკში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები. რა თქმა უნდა, ამთავითვე ძნელია ლაპარაკი აშკარა ლიდერზე, რადგან ამ მარათონული ასპარეზობის (იგი რამდენიმე თვეს გრძელდება) მხოლოდ მცირედი ნაწილია გავლილი, მაგრამ, თვალს თუ გადავავლებთ ამ ორ ქალაქში მოასპარეზე გუნდებს, არავის დაეჭვება, რომ თბილისის ჯგუფის წარმომადგენელი იქნება მომავალი ჩემპიონი თუ არა, ამ წოდების ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი მაინც. ესაა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც სამივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. მართალია, აქვე ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა კიევის არმიელთა გუნდმაც, მაგრამ მისი თამაშის ხარისხი, ისეთი მაღალი არ იყო, როგორიც ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდისა. მაგალითად, უკრაინელების ბედი ბოლო თამაშში კონცევოს გუნდთან ბეწვზეც კი ეკიდა — პირველი ტაიმი 4 ქულით დათმეს და მხოლოდ ორთაბრძოლის დამთავრებამდე 9 წამით ადრე იხსნეს თამაში — 24:23.

ამ ორ კოლექტივზე იმიტომ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რომ პირველ დღეს, მინსკელ არმიელებთან გამარჯვების შემდეგ, მასპინძელს — „ქარიშხალს“ მათთან ჰქონდა საქმე. მან ორივე შეხვედრა წააგო შესაბამისად 19:25; 16:18. და, თუ რა ძვირად დაუჯდათ კიეველებს „ქარიშხალთან“ გამარჯვება, ეს ნათელი გახდა დასკვნით დღეს, რაზეც ზემოთაც ითქვა.

რაც შეეხება „ქარიშხლისა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის მატჩს, აქ თავიდანვე აშკარა იყო სტუმრების უპირატესობა, რომლებმაც თამაშის ბევრ კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე, ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ. ტაიმი 7 ბურთის სხვაობით მოიგეს (14:7), არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ უპირატესობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 25:19. მინსკის ასკ-მ დათმო შეხვედრა ზაპოროჟიეს ზი-სთან — 22:27 (7:11).

ვფიქრობთ, უძლიერესთა პირისპირ თბილისელთა ჭიდილი უქმად არ ჩაივლის. გუნდმა, განსაკუთრებით კი მისმა ახალგაზრდობამ, სათანადო გამოცდილება შეიძინა, რაც უთუოდ კარგ სამსახურს გაუწევს მას ჩემპიონატის მომავალ ორთაბრძოლებში. მორიგ შეხვედრებს „ქარიშხალი“ ეოლგოგრადში გამართავს.

ბ. უნგიაძე

დაასახელეს უძლიერესნი

პეკინი. კვირას აქ დამთავრდა აზიის XI თამაშები, რომელიც თექვსმეტ დღეს გაგრძელდა და რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამ რეგიონის 37-მა ქვეყანამ. თამაშების საზეიმო დახურვაზე 80 ათასი მაყურებლის თანდასწრებით აზიადის ალამი და ემბლემა გადაეცა მომავალი ეჯიბრების დედაქალაქს ხიროსიმას (იაპონია). თამაშები იქ 1994 წლის 16 ოქტომბერს დაიწყება.

პეკინის სპორტულ ბაზებზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა ხმების უმრავლესობით გამოავლინეს აზიადის საუკეთესო სპორტსმენები. ესენი არიან: სპრინტერი მძლეოსანი კატარიდან მანსურ ტალაი (დაგროვა 2216 ქულა) და ჩინელი ველოსიპედისტი ჩაოუ ლინმეი (1820). შემდეგ მოდიან: ჩინელი მოცურავე შენ ცზიანციანი, მძლეოსანი ალმალიკ მოჰამედი (ომანი), ფეხბურთელი კიმ ჟუ სუნი (სამხრეთ კორეა), ათჟიდელი კანეკო მუნეჰარო (იაპონია), მშვილდოსანი სუ ხენი (სამხრეთ კორეა), მძლეოსანი [illegible] ეკო მეგუმი (იაპონია), ტანმოვარჯიშე [illegible] ჩუნმი (კორეის სახალხო დემო[illegible]ტული რესპუბლიკა). ბადმინტონისტი სუსანტი სუსი (ინდონეზია).

შეჯიბრების პროცესში გაუმჯობესდა რამდენიმე მსოფლიო რეკორდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 39-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.284.542 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (41) მოგება 1.530 მანეთია, ოთხისთვის (1.285) — 44, სამისთვის (24.459) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 27.957 ვარიანტი. 6—0, 5—1, 4—30, 3—537.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 13.382.112 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (15) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.164) — 160, სამისთვის (148.864) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 339.444 ვარიანტი. 5—0, 4—83, 3 — 3.773.

39-ე და 30-39 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით.

* * *

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-40 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 4 (კრივი), 6 (ძიუდო), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 31 (ფარიკაობა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 25 (საციგაო სპორტი), 27 (მშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა).

„სპორტპროგნოზი“

ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების განმეორებით ბაჩებზე შედგენილი „C-10“ სპეციალური ტირაჟის შედეგები

1—1, 2—2, 3—1, 4—X, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—X, 10—X, 11—2, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

• • •

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 39-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.474.715 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (12) მოგება 3.093 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (348) — 213 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (4.475) — 58 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 116.241 ვარიანტი. 13—1 (თბილისი), 12—16, 11—210.

39-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით.

• • •

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ ევროპის საფეხბურთო ტურნირების თამაშებზე შედგენილი „C-9“ სპეციალური ტირაჟის შედეგები.

დაშვებულია 1.122.022 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგება 10.000 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (56) — 2.648 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 52.584 ვარიანტი. 13—0, 12—0, 11 — 3 (თბილისი — 2, ქუთაისი).

„C-9“ სპეციტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 13 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით.

* * *

მე-40 ტირაჟის შედეგები (5-7 ოქტომბერი)

1 — 1, 2 — 1. 3 — 2, 4 —2, 5 — X, 6 — 2, 7 — 1, 8 — 2, 9 — 1. 10 — 1, 11 — X, 12 — 2, 13 — 2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორის მოადგილე

თ. მიგრიაული.



თბილისის ეროვნული სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

ფეხბურთი

10 ოქტომბერი

საქართველოს 1990 წლის თასის გათამაშება

ნახევარფინალური მატჩი

„იბერია“ (თბილისი) — „ბურია“ (ლანჩხუთი)

დასაწყისი 18 საათზე და 30 წუთზე

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 9 და 10 ოქტომბერს დილის 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია. კორექტორები ჟ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20